თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის სხდომის

ოქმი N 2

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 31იანვარს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 38 წევრი

სხდომას ესწრებოდ: 21 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესი;
   /დეკანი, გიორგი ღაღანიძე/

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის კონკურსის სამეცნიერო პრიორიტეტული კვლევები;
   /დეკანი, გიორგი ღაღანიძე/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტი;

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, მ. ლობჟანიძე/

4. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---არცერთი.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 31იანვრის N2 სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია,ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესის შესახებ; მან თქვა: რომ პრინციპული საკითხი იყო გამოქვეყნების პრობლება, გათვალისწინებული იქნა პროფ რეზო გველესიანი წინადადება, რომ გრანტის კვლევის შედეგები გამოქვეყნდეს ელექტრონულ ბეჭდურ ჟრრნალში, რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, EBSCO-სა და ERIH PLUS-ის ბაზაში, მან აღნიშნა რომ ადბილობრივ ჟურნალებს აქვს უკვე ერიხ პლიუსი და მიზან შეწონილად მიიჩნევს მიღებულ იქნას წარმოდგენილი სახით.

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---არცერთი.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად კონკურსის პირობების და ჩატარების წესის წარმოდგენილი პროექტი . იხილეთ https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/wesi.pdf

მოისმინეს:ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტ(ებ)ის კონკურსის სამეცნიერო პრიორიტეტული კვლევების შესახებ; მან კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგრანტო თემატიკიდან პრიორიტეტული კვლევების მოხსნის თაობაზე

აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე---21;

წინააღმდეგი---არცერთი.

დაადგინეს : მოიხსნას საგრანტო თემატიკიდან პრიორიტეტები. თემატიკა ჩამოყალიბდეს ზოგადი ფორმით, ეკონომიკასა და ბიზნესში მიმდინარე კვლევები.

მოისმინეს: სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსის, მ. ლობჟანიძის ინფორმაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების პროექტის შესახებ;

ძალიან მოკლე დროში მოხდა დებულების პროექტის დამუშავება, ამიტომ იყო გარკვეული ხარვეზები, გათვალისწინებულ იქნას შენიშვნები, პროექტში გაკეთდა ჩანაწერი დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი განისაზღვროს შესაბამისი სადოქტორო პროგრამით.

აზრი გამოთქვეს : პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, პროფესორმა ნუგზარ თოდუამ.

პროფესორმა ნოდარ ხადურმა. ასოცირებულმა პროფესორმა ია ნაცვლიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა,კენჭისყრის შედეგები:

მომხრე---20;

წინააღმდეგი---1.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დოქტორატურის დებულების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია ცნობილი ეკონომისტისა და საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსის, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ჯეფრი დეივიდ საქსის (Jeffrey David Sachs), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს პროფესორებმა: ვლადიმერ პაპავამ, ავთანდილ სილაგაძემ, სიმონ გელაშვილმა და ნოდარ ხადურმა. მათ ხაზი გაუსვეს პროფესორ ჯეფრი დეივიდ საქსის მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობის მნიშველობას და მოიწონეს წარმოდგენილი ინიციატივა.

გაიმართა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21; არცერთი წინააღმდეგი.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭო, თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობას უწევს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორს ჯეფრი დეივიდ საქსის (Jeffrey David Sachs), მიენიჭოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

მოისმინეს: პროფესორ ვლადიმერ პაპავას ინფორმაცია სადოქტორო დისერტაციების შეფასების შესახებ. მან აღნიშნა რომ ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს მაღალი ქულით შეფასებას და რეალურად არ ასხავს დისერტაციის ობიექტურად შეფასებას. როდესაც დისერტანტი ვერ პასუხობს კითხვებს, ის არ იმსახურებს მაღალ შეფასებას. სასურველია აღნიშნული გათვალისწინებულ იქნას დისერტაციების დაცვის დროს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა იური ანანიაშვილმა, პროფესორმა სიმონ გელაშვილმა.

პროფესორმა ავთანდილ სილაგაძემ, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ, პროფესორმა ნოდარ ხადურმა.

დაადგინეს: ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ. ღაღანიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივანი მ. მაისურაძე